Nebenklage

Die Nebenklage ist ein Institut zur Beteiligung des Verletzten am Strafverfahren. Sie stellt eine Ausnahme vom Offizialprinzip dar und ist in **Deutschland** in §§ 395 bis 402 dStPO geregelt. Als Institut mit vergleichbarer Bedeutung existierte in **Georgien** die subsidiäre Anklage bzw. die Prozessbeteiligung des Verletzten als sog. „subsidiärer Kläger". Diese Möglichkeit wurde jedoch im Jahr 2010 im Zuge der grundlegenden Umstellung des **georgischen Strafverfahrens** vom inquisitorischen auf das adversatorische Modell ersatzlos abgeschafft, um ein prozessuales Gleichgewicht zwischen den Parteien zu gewährleisten.

Im **deutschen Strafprozess** ist die Erhebung der Nebenklage auf die in § 395 Abs. 1 dStPO aufgezählten Delikte (u.a. Tötungs- und Körperverletzungsdelikte, Sexualdelikte und ein großer Teil der Straftaten gegen die persönliche Freiheit) beschränkt. Der Nebenkläger kann allerdings (im Gegensatz zur „Privatklage") nicht aus eigener Initiative ein Strafverfahren in Gang setzten, sondern sich lediglich einem von der Staatsanwaltschaft eingeleiteten Verfahren anschließen. Die Nebenklage ist folglich akzessorisch zur öffentlichen Klage. Hingegen war (nach früherem Recht) der Verletzte im Rahmen der subsidiären Strafverfolgung in **Georgien** auch im Fall des Absehens der Staatsanwaltschaft von der Anklageerhebung berechtigt, Anklage zu erheben, d.h. als alleiniger Ankläger in dem betreffenden Verfahren zu agieren (Art. 25 gStPO a.F.).

Der Anschluss als Nebenkläger kann vom Verletzten – bzw. im Fall seines Todes von dessen nahen Angehörigen (§ 395 Abs. 2 S. 1 dStPO) – im **deutschen Strafprozess** in jedem Stadium des Verfahrens, also auch noch in den Rechtsmittelinstanzen, beantragt werden (§ 395 Abs. 4 dStPO). Nach der Zulassung als Nebenkläger kann dieser seine in §§ 397 ff. dStPO aufgeführten Rechte unabhängig von der Staatsanwaltschaft ausüben. So darf er u.a. an der Hauptverhandlung teilnehmen, auch wenn er in dem Verfahren als Zeuge vernommen werden soll (§ 397 Abs. 1 S. 1 dStPO), einen Rechtsanwalts hinzuziehen oder sich anwaltlich vertreten lassen (§ 397 Abs. 2 S. 1 dStPO), in der Verhandlung Erklärungen abgeben und Fragen stellen (§ 397 Abs. 1 S. 3 i.V.m. §§ 240 Abs. 2, 257, 258 dStPO), Beweisanträge stellen (§ 397 Abs. 1 S. 3 i.V.m. § 244 Abs. 3 bis 6 dStPO), die Verfahrensakten einsehen (§ 406e dStPO), Prozesskostenhilfe in Anspruch nehmen (§ 397a Abs. 2 dStPO) und Rechtsmittel gegen die Entscheidung des Gerichts einlegen (§§ 400, 401 dStPO).

Während das im **deutschen Recht** etablierte Nebenklageverfahren dem Verletzten die Möglichkeit gibt, sich über die Zeugenrolle hinaus am Strafprozess zu beteiligen, kann er in **Georgien** de lege lata nur die Rechte und Pflichten eines Zeugen wahrnehmen (Art. 56 gStPO). Der Verletzte kann sich nach geltendem **georgischen Strafprozessrecht** somit nicht aktiv am Prozess beteiligen und ist lediglich berechtigt, die Entscheidung der Staatsanwaltschaft über die Einleitung oder Einstellung eines Strafverfahrens vor der übergeordneten Instanz der Staatsanwaltschaft einmal anzufechten (bzw. ausnahmsweise, in den gesetzlich vorgesehenen Fällen, zusätzlich auch vor Gericht). Es bestehen

somit erhebliche Unterschiede zwischen dem **deutschen** und dem **georgischen Strafprozessrecht** im Hinblick auf die Beteiligungsmöglichkeiten des Verletzten am Strafverfahren. (Mpi/Mkh)

თანაბრალდება

თანაბრალდება არის დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის ინსტიტუტი. ის წარმოადგებს ოფიციალურობის პრინციპიდან გამონაკლისს და **გერმანიაში** არის დარეგულირებული გსსსკ-ის პარაგრაფებში 395-დან 402-ის ჩათვლით. გარკვეული თვალსაზრისით მსგავსი ინსტიტუტი არსებობდა **საქართველოში**. შესაბამისად, პროცესში მონაწილეობდა დაზარალებული, როგორც ე.წ. „სუბსიდიური ბრალმდებელი". ეს შესაძლებლობა 2010 წლიდან გაუქმდა მხარეთა შორის თანასწორუფლებიანობის ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით, რამდენადაც **ქართული სისხლის სამართლის პროცესი** ინკვიზიციურიდან შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესით შეიცვალა.

გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში თანაბრალდების წესით ბრალის წაყენება გათვალისწინებულია გსსსკ-ის 395-ე პარაგრაფის 1-ელ ნაწილში ჩამოთვლილი შემადგენლობების შემთხვევაში (მათ შორის, მკვლელობა და სხეულის დაზიანება, სექსუალური ხასიათის დანაშაულები და პერსონალური თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დიდი ნაწილი). თანაბრალმდებელი (კერძო ბრალმდებლისგან განსხვავებით) არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით დაიწყოს სისხლის სამართლის პროცესი, არამედ შეუძლია ჩაერთოს პროკურორის მიერ წარმოებულ პროცესში. ამდენად, თანაბრალმდებელი არის საჯარო ბრალდებაზე დამოკიდებული. ამისგან განსხვავებით, ადრე მოქმედ **ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** დაზარალებულს უფლება ჰქონდა სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც სასამართლოში მხარი დაეჭირა ბრალდებისათვის (ქსსსკ-ის ძველი რედაქციის 25-ე მუხლი).

გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს შეუძლია, რომ მოითხოვოს პროცესში თანაბრალმდებლად ჩართვა – დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის ახლო ნათესავს (გსსსკ-ის 395-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადება) – პროცესის ნებისმიერ, განაჩენის გასაჩივრების სტადიაზეც (გსსსკ-ის 395-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილი). პროცესში ჩართვის შემდეგ თანაბრალმდებელს შეუძლია, მისი გსსსკ-ის 397-ე და მომდევნო პარაგრაფებში განსაზღვრული უფლებების რეალიზება განახორციელოს პროკურორისგან დამოუკიდებლად. ასე რომ, მას ენიჭება უფლება, დაესწროს არსებით სხდომას მაშინაც კი, როდესაც ის უნდა დაიკითხოს პროცესზე, როგორც მოწმე (გსსსკ-ის 397-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადება), გაიაროს

კონსულტაცია ადვოკატთან ან წარმოდგენილი იყოს ადვოკატით (გსსსკ-ის 397-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადება), სასამართლო სხდომის დროს გააკეთოს განცხადებები ან დასვას კითხვები (გსსსკ-ის 397-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-3 წინადადება i.V.m. გსსსკ-ის 240-ე პარაგრაფის მე-2 ნიწილი და 257, 258 პარაგრაფები), წარადგინოს მოთხოვნები მტკიცებულებებზე (გსსსკ-ის 397-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-3 წინადადება i.V.m. გსსსკ-ის 244-ე პარაგრაფის ნაწილი 3-დან 6-მდე), გაეცნოს პროცესის მასალებს (გსსსკ-ის 406e-ე პარაგრაფი), მიიღოს იურიდიული დახმარება (გსსსკ-ის 397a-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი) და გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება (გსსსკ-ის 400, 401 პარაგრაფები).

მაშინ, როდესაც დაზარალებულს თანაბრალდების წარმოების ფარგლებში **გერმანულ სამართალში** ეძლევა უფლებამოსილება მოწმის როლის მიღმა მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, **ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** მას მხოლოდ ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა (ქსსსკ-ის 56-ე მუხლი). **საქართველოს მოქმედი სისხლის საპროცესო სამართლის** მიხედვით დაზარალებული არ არის პროცესის აქტიური მონაწილე, ის არის უფლებამოსილი, პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა თუ შეწყვეტის შესახებ გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან (გარკვეულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი წესით, ასევე, სასამართლოში). ამდენად არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები **გერმანულ** და **ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობის თვალსაზრისით. (Mpi/Mkh)